ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №451579

ნომერი: AR193083

თარიღი : 21.11.2012

გაცემის თარიღი : 29.11.2012

გაცნობის თარიღი : 29.11.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩანტლაძე , ინტურისტის ბაზის მიმდებარედ (ნაკვეთი 03/24);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ბერიძე პ/ნ 01008009247
- თბილისი ვ.ბარნოვის ქ. N 82

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიისსსიპ – თბილისისარქიტექტურის სამსახურის 2010 18 მარტის №379 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიისსსიპ – თბილისისარქიტექტურის სამსახურს2012 წლის 16 ნოემბერს № AR193083 განცხადებით მომართეს შპს „სასათუბურემეურნეობის“ დირექტორმა გიორგი ჩაჩანიძემ და მოქალაქე გიორგი ბერიძემ და მოითხოვესსამსახურის მიერ2010 წლის 18 მარტს დამტკიცებულ№379 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებშიცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლისთანახმად სამსახურმაშეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობისმქონე გარემოებები, განიხილა წარმოდგენილიდოკუმენტაცია და დაადგინა, რომ ქ. თბილისისმერიის სსიპ– თბილისის არქიტექტურისსამსახურის მიერ 2010 წლის 18 მარტს დამტკიცდა ქალაქ თბილისში, ისანი-სამგორისრაიონში,

ჩანტლაძის ქუჩა, ინტურისტისბაზის მიმდებარედ 77871 მ2 ფართის მქონე№01.19.17.003.023 საკადასტრო ერთეულზე სამეწარმეო ობიექტის ასაშენებლადსამშენებლოდ მიწისნაკვეთის გამოყენებისპირობები.
განმცხადებლის განმარტებით №01.19.17.003.023 საკადასტრო ერთეული გაიყო ორ მიწის ნაკვეთად, წარმოდგენილი საჯარორეესტრის ამონაწერებიდან (საკადასტროკოდი №01.19.17.003.024; 01.19.17.003.025 – სარეგისტრაციო №882011307516; 882011307523) და საკადასტრო გეგმებიდან (სარეგისტრაციო №882009191374 07.07.09 წ; №882010847581 26.10.10 წ.) ირკვევა, რომ საპროექტოტერიტორია გაყოფილიაორ ახალსაკადასტრო ერთეულად, შესაბამისად შეცვლილიასაკადასტრო კოდი, მიწის ნაკვეთისკონფიგურაცია დაფართობი.
გარდა ზემოაღნიშნულისა, განმცხადებელის განმარტებითსურს აწარმოოსკიდევ ერთისაწარმოო ობიექტის– ბოსტნეულის გარეცხვა-შეფუთვისა დაშენახვის ფუნქციისშენობის აშენება, შესაბამისად ითხოვსსათანადო ცვლილებისგანხორციელებას მიწისნაკვეთის სამშენებლოდგამოყენების პირობებში.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათშორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობისგანხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 6 (სზ 6)-ში, სადაც ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისისტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“-ს შესაბამისად შესაძლებელია სამეწარმეო საქმიანობისსახელოსნოს მშენებლობა, რომელსაც განეკუთვნებაბოსტნეულის გარეცხვა-შეფუთვისა და შენახვის დანიშნულების მქონე შენობა.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით,
სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისითმიზანშეწონილად მიაჩნია 18.03.10 წ. №379 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები, ხოლო სხვა ქალაქთმშენებლობითი პირობები დარჩეს უცვლელი.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

ვბრძანებ

1. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 18 მარტის №379 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შევიდეს ცვლილება, კერძოდ: ა) საკადასტრო კოდად №01.19.17.003.023 ნაცვლად დაფიქსირდეს №01.19.17.003.024 და №01.19.17.003.025; ბ) მიწის ნაკვეთის ფართად 77871 მ^2 -ის ნაცვლად დაფიქსირდეს 48353.00 მ^2 და 29518.00 მ^2; გ) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი №01.19.17.003.024; 01.19.17.003.025 – სარეგისტრაციო №882011307516 28.06.2011; 882011307523 28.06.2011; სარეგისტრაციო №882009191374 07.07.09 წ; №882010847581 26.10.10 წ.); დ) მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია დაფიქსირდეს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმების შესაბამისად; ე) საპროექტო ობიექტის ფუნქციას დაემატოს სამეწარმეო საქმიანობის სახელოსნო.
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 18 მარტის №379 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს შენიშვნა: მიწის ნაკვეთებს შორის დაცული იქნეს ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“-ს მე-6 თავით დადგენილი მოთხოვნები“;
3. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 18 მარტის №379 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან და 2012 წლის 04 ივნისის №196644 ბრძანებასთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.